

საღვთო ევქარისტია - იესო ქრისტეს ხსენების ნაყოფი

(7.11.2021)

ჩვენს წინა ქადაგებებში ვსაუბრობდით იმის შესახებ, რომ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ხუთშაბათის საიდუმლო სერობის ღამით დააწესა ევქარისტის საიდუმლოება, რომელიც მის შემდეგ სრულდება ყოველ ლიტურდიაზე. ამ გზით უფალი მისი წმინდა ხორცისა და სისხლის ზიარებით უერთდებამორწმუნეებს, წმინდავს მათ ცოდვებისგან და აკურთხებს. ერთდროულად საღვთო ევქარისტის საიდუმლო უზრუნველყოფს ეკლესიის წევრების ერთიანობას და ავსებს მას სიცოცხლით.

თუმცა ამის გარდა საღვთო ევქარისტის საიდუმლოს დადგენილ სიტყვებში უფალი ამატებს, რომ მისი სისხლი, რომელიც იღვრება ყველასთვის ცოდვების მოსატყვევლად და რომელიც წილად ხვდება მორწმუნეებს, დადგენილია ახალი აღთქმით (მათე 26:28). როგორია „ახალი აღთქმა“, რომელსაც უფალი ამოწმებს თავისი სისხლით?

სიტყვა „ახალი“ სახარებასთან მიმართებაში გულისხმობს არსებობას. ჩვენ ყველამ ვიცით, რა თქმა უნდა, რომ სინას მთაზე ღმერთმა წინასწარმეტყველ მოსეს აღთქმა აუწყა, რის თანახმადაც მოსემ შეიტყო ღმერთის ნება და ებრაელ ხალხს უნდა მიეღოთ ის და ყოფილიყვნენ მისი ერთგულები. თავისი მცნებები უფალმა დაწერა 2 ქვის ფილაზე და გადასცა მოსეს, რათა ეს მცნებები დაეცვათ. უფრო მეტი საიდუმლოებისათვის ძველი აღთქმა გამყარებული იქნა სისხლით.

უფალი საიდუმლო სერობის საღამოს, აკავშირებდა თავის ახალ აღთქმას ძველთან, რომელიც მოსემ დაამტკიცა ხბოებისა და ბატონების სისხლით, ხაზს უსვამს, რომ ახალი აღთქმა ერთგულ ხალხთან მტკიცდება და იბეჭდება მისი საკუთარი სისხლით, რომელსაც ერთადერთს აქვს ძალა ცოდვებისგან განწმენდისა. ამაზე ამახვილებს ყურადღებას წმ. პავლე მოციქული: „რამეთუ ვერ შემძლებელ არს სისხლი ვაცთა და კუროთა ახოცად ცოდვათა“ (ებრ. 10,4).

„რამეთუ ითქუნეს ყოველნი იგი მცნებანი მსგავსად შჯულისა მოსეს მიერ ყოვლისა მიმართ ერისა, მოიღოს სისხლი იგი ზუარაკთა და ვაცთა წყალსა თანა მატყლით მეწამელთავ და უსუპითა, თვით მასვე წიგნსა და ყოველსა ერსა აპკურის. და თქვის ესე სისხლი აღთქმისა, რომელი გამცნო თქუნენ ღმერთმან (ებრ. 9:19-20).

ამ გზით უფალი საღვთო ევქარისტის საიდუმლოთი სხვა წყალობებთან ერთად, ადასტურებს და ამყარებს მთელს თავის სწავლებას. როგორც ვიცით, ამ სწავლებების ნაწილი დაწერილია წმინდა სახარებაში, სხვა ნაწილი კი გადმოცემულია უფლის მოსწავლეების მიმართვების წიგნებში. ყველა ერთად ეს წიგნები ქმნიან ნაცნობ ტექსტს ახალი აღთქმისას.

ბოლო სამოდვრო სიტყვები უფლისა საღვთო ევქარისტის საიდუმლოების დადგენისას, მოჰყავს მოციქულ პავლეს თავის პირველ მიმართვაში კორინთელთა

მიმართ (11:25) : „ესე სასუმელი ახალი რჩეული არს სისხლისა ჩემისა; ამას ჰყოფდით, რაოდენ - გზისცა სუმიდეთ ჩემდა მოსახსენებლად“. ეს სიტყვები ძალიან ღრმა აზრისაა და მხოლოდ ღვთივგანათლებული მამებს შეუძლიათ მათი განმარტება. განვიხილოთ თუნდაც ძალიან მოკლედ რას ამბობენ წმინდა მამები ამის შესახებ.

საღვთო ევქარისტია წარმოადგენს ლიტურგიულ გახსენებას იმ პირველი ტრაპეზისა, საიდუმლო სერობისა, აგრეთვე ყველაფრისას, რაც უფალმა გააკეთა სამყაროს შექმნიდან ჩვენი გულისთვის. საღვთო ევქარისტის დროს ჩვენ წმინდად ვასრულებთ იმას, რაც წმინდად შეასრულა ქრისტემ. ჩვენ მსხვერპლად ვწირავთ წმინდა მსხვერპლს, ვიხსენებთ მის სიკვდილსა და აღდგომას: „იქმოდით ამას და მომიხსენებდით, რამე თუ, ყოველთვის, როცა ჭამთ ამ პურსა და სვავთ ამ სასმისს, ჩემს სიკვდილს ამცნობთ, ჩემს აღდგომას ქადაგებთ," - ნათქვამია „შენი შენთაგან და შენდა შემწირველნი..." - ს, ამ ლოცვის წინ წმ. ბასილი დიდის ლიტურგიისას. ლიტურგიულ მოგონებისას ჩვენ არა მარტო ვფიქრობთ ქრისტეს მსხვერპლზე, არამედ განვიცდით მას.

აგრეთვე ჩვენდამი უფლის მიერ ბოძებული ყველა წყალობა აძლიერებს ჩვენს მადლიერებასა და დაფასებას მის მიმართ. შეიძლება ითქვას რომ ევქარისტია წარმოადგენს უფლის გახსენებას. სწორედ ამაში მდგომარეობდა უფლის მიზანი, როდესაც იგი აძლევდა მცნებას წმინდად დაეცვათ მისი მოგონება: რათა ჩვენ არ გავმხდარიყავით უმადურები და არ დაგვეკარგა მისი ღვთიური წყალობები. წყალობის გახსენება ამაღლებს მადლიერების გრძნობას და ჩვენი ზიარება ხდება უფრო ახლოს ქრისტესთან. და ჩვენ, რათა ვიყოთ ქრისტესთან, უნდა ვმადლობდეთ „ყოვლადვე ყოველთათვის სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა ღმერთსა და მამასა" (ეფ. 5:20).

მნიშვნელოვან თემას, რომელსაც უნდა შევეხოთ, სანამ დავიწყებთ იმის ახსნას, რაც ითქმევა და სრულდება საღვთო ლიტურგიისას - ვინ არის ნამდვილი შემსრულებელი ლიტურგიისა.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ლიტურგიის შესასრულებლად საჭიროა თუნდაც ერთი ეპისკოპოსი ან მღვდელი. თუმცა - და ჭეშმარიტი შემსრულებელი საღვთო ლიტურგიისა არის თავად ქრისტე. ის, ვინც შეასრულა ევქარისტია საიდუმლო სერობაზე. ის ასრულებს ეხლა და ყოველთვის ამ საიდუმლოს.

ჩვენ, ეპისკოპოსები და მოძღვრები ვემსახურებით მას. იგი წირავს და აკურთხებს მღვდენს. ქრისტე თავისი ყოფნით ანათლებს საიდუმლო სერობას და საღვთო ევქარისტიას. საღვთო ლიტურგიისას საღვთო მსახურის სახით თავად ქრისტეს ვხედავთ. როდესაც გვაწვდის მღვდელი წმინდა ზიარებას არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამას მღვდელი აკეთებს, უნდა გვჯეროდეს, რომ ეს ქრისტეს ხელია. მღვდელი უბრალოდ აძლევს ქრისტეს თავის ენასა და ხელებს, როგორც ჩვენ შეგვიძლია მოვისმინოთ ქერუბიმთა გალობიდან: „რამეთუ შენ - მიმცემი და მომტანი, და მიმღებელი, და გამცემი, ქრისტე უფალო ჩვენო, შენდა დიდებასა აღვაველებთ... უკუნისამდე. ამინ"!